იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 10 დეკემბერი 2020 წელი

ერთი მხრივ, შპს "პსპ ფარმა" (შემდგომში "მოიჯარე"), ხელშეკრულებაში წარმოდგენილი მისი დირექტორის ვაჟა ოქრიაშვილის (პ/ნ: 15001003000) მინდობილი პირის გიორგი გლუნჩაძის (პ/ნ: 01008047479) სახით და მეორე მხრივ, შპს „განთიადი" (შემდგომში "მეიჯარე") წარმოდგენილი მისი დირექტორის, გელა ღლონტის (პ/ნ 01030005581) მიერ, ერთად ან ცალ-ცალკე მოხსენიებულნი, როგორც ხელშეკრულების „მხარე" ან „მხარეები", მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე და მხარეთა ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ვდებთ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში „იჯარის ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. იჯარის ხელშეკრულების საგანი. მეიჯარე იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით სარგებლობაში გადასცემს მოიჯარეს „საიჯარო ქონებას".
2. საიჯარო ქონება. იჯარის ხელშეკრულების მიზნებისათვის საიჯარო ქონებას წარმოადგენს შემდეგი უძრავი ქონება (შემდგომში "საიჯარო ქონება"):

2.1 მისამართი: მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 96; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.13.08.007.026.01.505; 157 კვ.მ-დან 70 კვ.მ ფართი;

2.2 მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 96; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.13.08.007.026.01.506 243 კვ.მ-დან 90 კვ.მ ფართი.

3. საიჯარო ქირა. მოიჯარეს მიერ მეიჯარესათვის საიჯარო ქონების სარგებლობისათვის გადასახდელი საიჯარო ქირა (შემდგომში „საიჯარო ქირა") და ანაზღაურების პირობები განისაზღვრება „იჯარის ხელშეკრულების დამატებითი პირობებით".
4. იჯარის ხელშეკრულების ვადა:.იჯარის ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **5 (ხუთი) წლის** ვადით. იჯარის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად მიიჩნევა წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდზე, ზედა მარჯვენა კუთხეში მითითებული თარიღი.
5. იჯარის ხელშეკრულების დამატებითი პირობები. „იჯარის ხელშეკრულების დამატებითი პირობები" (შემდგომში „იჯარის ხელშეკრულების დამატებითი პირობები") იჯარის ხელშეკრულების მიზნებისათვის წარმოადგენს სხვა დამატებით პირობებს, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებით და წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებასთან ერთად არეგულირებს მხარეებს შორის საიჯარო ქონების სარგებლობასთან დაკავშირებულ საიჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს. იჯარის ხელშეკრულების დამატებით პირობები წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. გარიგების ერთიანობა. იჯარის ხელშეკრულება, „იჯარის ხელშეკრულების დამატებითი პირობები" და სხვა ყველა წერილობითი ფორმით შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი დანართები ერთობლიობაში წარმოადგენს მხარეებს შორის საიჯარო ქონების სარგებლობასთან დაკავშირებული საიჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ ხელშეკრულებას.
7. რეგისტრაცია. „იჯარის ხელშეკრულების დამატებითი პირობები" არ რეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავ ქონებაზე უფლებათა რეესტრში (შემდგომში „საჯარო რეესტრი"), თუმცა წარმოადგენს მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს, ატარებენს სრულ იურიდიულ ძალას და რაიმე სახის პრეტენზია ან/და ბუნდოვანება მის შინაარსთან დაკავშირებით მხარეებს არ გააჩნიათ.
8. ცვლილებები. იჯარის ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება განხორციელდება წერილობითი ფორმით შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, რომლის რეგისტრაციას მხარეები არ ახორციელებენ. გამონაკლის წარმოადგენს შემთხვევები, როცა იცვლება საიჯარო ქონების ფართი ან/და იჯარის ხელშეკრულების ვადა, რომელიც ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. თანხმობები.

9.1 მოიჯარეს უფლება აქვს მეიჯარის დამატებითი თანხმობის გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ ქვეიჯარით გასცეს საიჯარო ქონებიდან არაუმეტეს 10 კვ.მ ფართი;

9.2 მოიჯარეს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ, მეიჯარის დამატებითი თანხმობის გარეშე, შეასრულოს: საიჯარო ქონების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი და სხვა სამუშაოები; შენობის ფასადზე, რომელშიც განთავსებულია საიჯარო ქონება განათავსოს რეკლამა, მათ შორის სარეკლამო და სხვა სახის აბრები, პლაკატები, საფირმო და სასაქონლო ნიშანი და სხვა რეკლამა. ამ პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით მოიჯარე უფლებამოსილია: შეათანხმოს საიჯარო ქონების არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან და მიიღოს მშენებლობის ნებართვა; განახორციელოს სხვა ისეთი ქმედებები, რაც დაკავშირებულია მოიჯარის კომერციულ საქმიანობასთან ან იჯარის ხელშეკრულების/იჯარის მიზნების შესრულებასთან და ზიანს არ აყენებს საიჯარო ქონებას; მოიჯარის მხრიდან ამ პუნქტში აღნიშნული ნებართვების ან თანხმობების მიღების მიზნით, მეიჯარე ვალდებულია მიიღოს და წარუდგინოს მოიჯარეს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოთხოვნილი ის ყველა საჭირო დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რაც უშუალოდ მხოლოდ მეიჯარის მიერ შეიძლება იქნას მოპოვებული, მიღებული ან გამოთხოვილი;

9.3 მოიჯარეს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით მეიჯარის დამატებითი თანხმობის გარეშე გააფორმოს აღნიშნულ ფართზე ტელეფონით, ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით, წყალმომარაგების, დასუფთავების ან/და სხვა სახის კომუნალური მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულება და ასევე, აღნიშნულიმომსახურების მისაღებად დარეგისტრირდეს აბონენტად/ქვეაბონენტად;

10. ხელშეკრულების შეწყვეტა.

10.1. მოიჯარეს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს, მეიჯარისათვის ორი თვით (60 კალენდარული დღე) ადრე წინასწარი წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. მოიჯარე ვალდებულია სრულად გადაიხადოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი საიჯარო ქირა. მოიჯარე თავისუფლდება ვალდებულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, ხელშეკრულების მოქმედების ვადის დარჩენილ პერიოდზე გადაიხადოს საიჯარო ქირა ან/და ხელშეკრულების მოქმედების ვადის დარჩენილ ვადაზე შესთავაზოს მეიჯარეს სხვა მოიჯარე.

10.2. მოიჯარეს უფლება აქვს იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას/მოქმედების ვადის დასრულებისას მეიჯარის დამატებითი თანხმობის გარეშე ცალმხრივად გააუქმოს საიჯარო ქონებაზე იჯარის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

11. ნებისმიერი სახის შეუსაბამობის არსებობისას წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებასა და იჯარის ხელშეკრულების დამატებით პირობებს შორის, უპირატესობა ენიჭება იჯარის ხელშეკრულების დამატებით პირობებს.
12. ინამდებარე იჯარის ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელმოწერის შემდეგ ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრს სარეგისტრაციოდ, ხოლო თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„მოიჯარე"	„მეიჯარე"
შპს „პსპ ფარმა"	შპს „განთიადი"
ს/კ: 202203123	ს/კ 201990532
მინდობილი პირი: გიორგი გლუნჩაძე	დირექტორი: გელა ღლონტი

THE MEMBER OF PSP GROUP

№2012/22-01 22 დეკემბერი 2020 წელი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს „პსპ ფარმას"** (ს/კ: 202203123) დირექტორი ვაჟა ოქრიაშვილი (პ/ნ:15001003000) წინამდებარე მინდობილობით, შემდგომში „მინდობილობა", ვანიჭებ უფლებამოსილებას **ირაკლი კირკიტაძეს (პ/ნ: 01011076839)** შემდგომში „მინდობილი პირი", წარმოადგინოს შპს"პსპ ფარმა" - შემდგომში „მინდობილობის გამცემი" საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მერიასთან და მათ ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან, არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის და არა მხოლოდ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან, სსიპ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში. საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის, არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურებთან ურთიერთობაში.

„მინდობილი პირი" უფლებამოსილია „მინდობილობის გამცემის" სახელით „მინდობილობის გამცემის" საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით განახორციელოს შემდეგი მოქმედებები: წარადგინოს (მათ შორის, ატვირთოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ელექტრონული სახით) მიიღოს, ნახოს და ხელი მოაწეროს (მათ შორის განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა) ნებისმიერ დოკუმენტაციას/განცხადებას, რაც დაკავშირებულია მინდობილობის გამცემისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან/მიღებასთან, არქიტექტურული/სამშენებლო პროექტების, ყველა კლასის შენობა-ნაგებობის მოწყობის, დემონტაჟის, რეკონტრუქციის, მათ შორის, შენობის-ფასადზე აბრისა და რეკლამის განთავსების სამუშაოების შეთანხმებასთან შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან. ჩაიბაროს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის, არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურების მიერ მინდობილობის გამცემის სახელზე გამოწერილი ნებისმიერი დოკუმენტაცია, მათ შორის და არა მხოლოდ, ბრძანებები, საჯარიმო ქვითრები და სხვა ნებისმიერი დოკუმენტაცია.

„მინდობილ პირს" გააჩნია უფლებამოსილება წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედებები, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ მინდობილობაში და საჭიროა მინდობილობით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 01 ივნისამდე.

შპს"პსპ ფარმას" დირექტორი: _____ /ვაჟა ოქრიაშვილი/

შპს-ფარმა
202203123
"PSP-Pharma"
დ.აღმაშენებლის 148/III

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.13.08.007.026.01.505**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020941946 - 10/12/2020 17:07:22

მომზადების თარიღი
20/12/2020 16:10:45

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	დიღუბე			
01	**13**	**08**	**007/026**	**01/505**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:1141.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **7;**

მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 96

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012005021422 , თარიღი 18/05/2005

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის მიერ 1995 წლის 29 სექტემბერს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N23/462-პ.
- ქ. თბილისის დიღუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 14 ივნისის და 1995 წლის 6 დეკემბრის დაღგენილებები N2/4-216
- ხელშეკრულება, გაფორმებული 1997 წლის 8 იანვარს, დამოწმებული ნოტარიუსის ქ. ოღილავაძის მიერ რეესტრით N3-90გ, რეგისტრირებული ტექ. ინვენტარიზაციის ბიუროში

მესაკუთრეები:
შპს "განთიადი", ID ნომერი:201990532

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
შპს "განთიადი"	საკუთრება	**ფართი**	157.00 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016427506 თარიღი 07/07/2016 13:25:07	**მოიჯარე**: **შპს "Timeless"**406086621; **მესაკუთრე**: **შპს "განთიადი"**201990532; საგანი:ფართი - 87 კვ.მ.; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/07/2016	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი07/07/2016, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882020941946 თარიღი 10/12/2020 17:07:22	**მოიჯარე**: **შპს "პსპ ფარმა"**202203123; საგანი:157.00 კვ.მ-დან 70კვ.მ.; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/12/2020	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი10/12/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.13.08.007.026.01.506**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020941950 - 10/12/2020 17:07:50

მომზადების თარიღი
20/12/2020 00:09:05

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	დიღუბე			
01	**13**	**08**	**007/026**	**01/506**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:1141.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **7;**

მისამართი: ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 96

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016145023 , თარიღი 11/03/2016 13:36:51
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/03/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:11/03/2016 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:20/03/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/03/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება , გაფორმების თარიღი:14/03/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
- შეთანხმება , დამოწმების თარიღი:07/03/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:15/12/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება , გაფორმების თარიღი:14/03/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
- ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიერ 2003 წლის 12 მარტს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N23/935-ი.

მესაკუთრეები:
გონერ ლოდია ,P/N: 01023003149
ზურაბ ღლონტი ,P/N: 01008050867
ლადო ბენდიანიშვილი ,P/N: 01008051473
ლალი ბენდიანიშვილი ,P/N: 01025021113
მარიამ გოკიელი,P/N: 01008009189
ხათუნა ლოდია ,P/N: 01023000795
შპს "განთიადი", ID ნომერი:201990532

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
15.05 კვ.მ გონერ ლოდია 25.05 კვ.მ მარიამ გოკიელი 90.00 კვ.მ შპს "განთიადი" 51.00 კვ.მ ზურაბ ღლონტი 30.60 კვ.მ ლადო ბენდიანიშვილი 10.00 კვ.მ. ხათუნა ლოდია 20.40 კვ.მ ლალი ბენდიანიშვილი	თანასაკუთრება	**სარდაფი**	243.00 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882016512977 თარიღი 10/08/2016 15:22:06

მოიჯარე: **შპს "ა.მ.პ. საქართველო-A.M.P. Georgia"** 406113110;
მესაკუთრე: **გონერ ლოდია** P/N: 01023003149; **ზურაბ ღლონტი** P/N: 01008050867; **ლადო ბენდიანიშვილი** P/N: 01008051473; **ლალი ბენდიანიშვილი** P/N: 01025021113; **მარიამ გოკიელი** P/N: 01008009189; **ხათუნა ლოდია** P/N: 01023000795;
საგანი:ფართი 153.00 კვ.მ;
საბოლოო თარიღი:01/10/2026;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/08/2016

იჯარის ხელშეკრულება , რეესტრის ნომერი N160767862, დამოწმების თარიღი12/07/2016, ნოტარიუსი ნ. ჩუბინიძე

(რეგ. N882019964455) დამატებითი შეთანხმება უძრავი ქონების ქირავების ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ, რეესტრის ნომერი N191271652, დამოწმების თარიღი17/10/2019, ნოტარიუსი დ. სვანაძე

(რეგ. N882019964455) დამატებითი შეთანხმება უძრავი ქონების ქირავების ხელშეკრულებაში ცვლილების შესახებ, რეესტრის ნომერი N191399925, დამოწმების თარიღი18/11/2019, ნოტარიუსი დ. სვანაძე

განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882020941950 თარიღი 10/12/2020 17:07:50

მეიჯარე: **შპს "განთიადი"**201990532;
მოიჯარე: **შპს "პსპ-ფარმა"**202203123;
საგანი:შპს "განთიადის კუთვნილი 90.00 კვ.მ ;
ვადა:5 წელი;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/12/2020

იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი10/12/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge